ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

განკარგულება:**g-67.67213377**

თარიღი:**03/12/2021**

განკარგულება N42 78

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეული იქნეს მურად ბურჯანაძე, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საფუძველი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბერი სხდომის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N 09)

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 42 57 განკარგულება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.“

3.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. 11.

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი